

რა ანგარიშია, ჰერ? თბილისში ზნახოთ! 0:1



სალომონ
ოკრონიძის
გვიანი და
ერთადერთი
გოლი
„ამერის“
ჯარში



კობა
ინასარაძე
ბერლინიდან

მატჩამდე

...გუშინდელ „კიკერში“ ჩვენთვის ერთი ფრიად საინტერესო რამ ეწერა — ჟურნალისტები „ჰერტას“ მწვრთნელ ფალკო ვიოტცს სიფრთხილისკენ მოუწოდებდნენ: „თქვენ არ იცით, რა გუნდს ეთამაშებთ. კარგად გეცოდინებათ თქვენი შეგირდების შესაძლებლობები, თუმცა გთხოვთ, მეტოქე დააფასოთ — ისინი არიან ქართველები, რომლებმაც ფეხბურთის თამაში იციან და გართულებებს მოერიდეთ... ეს სტრატეგიები ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე ორი საათით ადრე დაიწერა და, შესაბამისად, ახლა ვერ გეტყვით, როგორია ვიოტცისა და მისი შეგირდების განწყობა. ისე, რაც ამ ორ დღეში გერმანულ გაზეთებში წავიკითხეთ, არა მგონია, „ჰერტას“ ჩვენებისთვის აგდებულად შეეხედოს.

კიდევ ერთი ფრაზა, ოღონდ, ამჯერად „ბერლინერ ცაიტუნგში“ ამოკითხული: „ქართველები ტექნიკურები და სხარტები არიან, ისევე ძნელად მოსახელთებლები, როგორც მათი გვარები...“

მოკლედ, გერმანულმა პრესამ „ჰერტა“ — „ამერის“ მატჩამდე დიდი ენისგასატეხი მოიწყო...

...კოლეგები პრესცენტრში თამაშამდე ნახევარი საათით ადრე შეიკრიბნენ. ცხადია,

მომსახურება უმაღლეს დონეზეა, თუმცა, მატჩის რანგის გათვალისწინებით, ინფორმაცია მწირია...

- თქვენ ქართველი ხართ?
- დიახ.
- ძალიან გვიკვირს, რატომ არ არის ძირითად შემადგენლობაში წინამძღვრიშვილი? — გვითხა გერმანელმა კოლეგამ და ლამის მართლაც ენა მოიმტვრია...
- ვერ გეტყვით...
- კი მაგრამ, იგი ხომ გუნდის ლიდერია და ქვეყნის ნაკრებში თამაშობს?!
- ...

ასეთი მოკლე დიალოგი გამოგვივიდა კოლეგასთან და უკვე მატჩიც იწყება. „ამერმა“ მოთელვა მოამთავრა, „ჰერტამაც“...

სტადიონის სარბენი ბილიკებიდან „ჰერტას“ თილისმა ამხიარულებს ტრიბუნებს და სამ-ოთხ წუთში შეხვედრაც იწყება. 19 500-იანი სტადიონი თითქმის სანახევროდ სავსეა, გადაღურჯებულ ტრიბუნებზე აქა-იქ წითელი და შავ-ყვითელი ფერებიცაა, დაახლოებით ასამდე ქართველია მატჩის სანახავად მოსული...

გერმანელი დიქტორის ხმასთან ერთად ქართულიც ისმის — გერმანელი მხოლოდ ნომრებს აცხადებს, შესაბამის სახელებს კი ქართველი კითხულობს...

მოკლედ, ეს და სხვა ამბები ხვალ იყოს, დღეს კი...

მატჩი

მატჩს დავითაშვილ-დეკანოზი იწყებენ. პირველი ჯარიმა „ჰერტას“ სასარგებლოდ მე-3 წუთზე, თუმცა მანამდე მასპინძელთა მეკარე ფილდერმა ორჯერ უკვე მიიღო ბურთი...

თბილისელები ჯერჯერობით კომპაქტურად გამოიყურებიან, კარგად მოძრაობენ. წინ მხოლოდ სულიკო დავითაშვილია, ინსაიდების პოზიციაზე კი გრიგოლ დოლიძე და გიზო ჯელაძე თამაშობენ. შუაში დობროვოლსკი-ბოლქვაძე-დეკანოზიდის ტრიოა, დაცვაში — ხაზზე მოთამაშე დანარჩენი ოთხეული.

როგორც მოსალოდნელი იყო, „ჰერტა“ შეტევაში პანტელი-ლაკიჩის დუეტითაა, მათ მარჯვნიდან კაირო და მარცხნიდან ნონდორფი აქტიურად ეხმარებიან, შუიდან კი, რა თქმა უნდა, ბაშურუქი, თუმცა ჯერჯერობით ის ბევრსაც არ აქტიურობს.

...პირველი კუთხური მასპინძელთა კართან. საჯარიმოდან დეკანოზიდის ჩაწოდებული არნე ფრიდრიხმა მოიგერია — კუთხურს არანაირი შედეგი არ მოჰყოლია.

უკვე მე-20 წუთია და თანაბარი თამაშია. „ყვითლები“ მეტოქეს სივრცეს აძლევენ, თუმცა დაცვაში ფრიად ყურადღებიანები არიან. ჩვენებს შეუძლიათ, კონტრშეტევაზე უფრო თამამად ითამაშონ, ყოველ შემთხვევაში, ტრიბუნებიდან ჩანს, რომ მასპინძელთა დაცვაში თავისუფალი ადგილებია.

გაფრთხილება შიმუნის — დავითაშვილმა მას ბურთი ფეხებში გაუძვინა, მცველმა კი შეტევა არ გააგრძელებინა. იქამდე მჭედლიშვილი სახიფათო თამაშისთვის გააფრთხილეს.

27-ე წუთისთვის თამაში გათანაბრდა, ბურთი მოედნის ცენტრში ხშირად იკარგება. მასპინძლები, რომლებმაც საწყის 10 წუთში ზურაბ ქვაჩაზიას კარისკენ კიდევ ორ-სამჯერ დაარტყეს, ისე ვეღარ აქტიურობენ, ჩვენებს კი რწმენა შეემატათ და ბოროს

უფრო თავდაჯერებულად ათამაშებენ.

ქართველი ქომაგებისგან გამამხნეველი შემახილებიც ისმის. ტრიბუნებიდან უკმაყოფილო გერმანელთა სტვენანარევი მკვახე წამოძახილებიც ხშირია. ამ წუთს კი ნონდორფის ნაკუთხურალს ფრიდრიხის ცაციათი დარტყმული მოჰყვა, მაგრამ უზუსტოდ...

თბილისელები მასპინძლებს რაციონალურად ეთამაშებიან, „ამერი“ „ჰერტას“ ტემპში არ აჰყვას, თავს კარგად იცავს და საჯარიმოში მასპინძელთა სათამაშო არეალს მაქსიმალურად ზღუდავს, შთაბეჭდილება რჩება, რომ სტუმრები მანსს ელიან.

და ყველაზე სახიფათო მომენტი, საგოლედ ძალიან რეალური — ამერელებმა კარის ხაზიდან გამოიტანეს ბურთი, იქვე ლაკიჩმა დაარტყა და ისევ უშედეგოდ; გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ჩვენები სიტუაციაში კარგად გაერკვნენ და ბურთი მეტოქის მოედანზე გადაიტანეს, სადაც დავითაშვილს ფილდერმა დაასწრო...

...კიდევ ერთი კუთხური „ამერის“ კართან, ისევ ნონდორფმა ჩააწოდა — ქვაჩაზიამ იყოჩაღა და ლაკიხს არ გაატანინა. ნონდორფმა ერთხელაც ჩააწოდა და ვითარება გიორგი დავითნიძემ განმუხტა.

მოკლედ, ტაიმის ბოლოს „ჰერტა“ ისევ გააქტიურდა. თუმცა აქვე გაფრთხილება — დავით ბოლქვაძის წამოწყებული კონტრშეტევა იმავ ნონდორფმა მოედნის შუაში ჩაშალა... თბილისელებმა ჯარიმა გაათამაშეს და ბერძენმა მსაჯმაც პირველი ტაიმი დაამთავრა...

გალერი კატილიძემ ბერლინიდან



პარტიკული კაბინაში პერსონალი

ჰერ-ტაში აპერს ბერლინმა თბილისის კაღელი ბოლოსა ბატეხა

...ორი სიტყვით ვთქვათ, რომ „ამერი“ ყოჩაღად გამოიყურება, მასპინძლები ბურთს კი აკონტროლებენ, მაგრამ ერთადერთი ნაღდი მომენტის გარდა თავი ვერაფრით გამოიჩინეს...

ერთხელაც ვთქვათ, შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სტუმრები შანსს ელიან — ისინი „ჰერტას“ ჯერ სახიფათოდ არ დამუქრებინან, მაგრამ საამისო მომენტი რამდენჯერმე ჰქონდათ. მაშინაც, როცა დავითაშვილსა და ბოლქვაძეზე გერმანელები ცენტრთან ახლოს დაჯარიმდნენ და, შესაბამისად, მსაჯმაც დამრღვევები გააფრთხილა. ეს კლასია — „ჰერტას“ ერთი გაფრთხილების ხარჯზე, ვინძლო, გოლი აირიდა...

შესვენებაზე მწვრთნელებს შეცვლები არ გაუკეთებიათ. 50-ე წუთამდე საინტერესო არაფერია...

ამერელებმა სახიფათო კონტრეტევა სცადეს: დოლიძე-დავითაშვილ-ბოლქვაძემ ბურთი საჯარიმოს წინ კარგად გაათამაშეს, მაგრამ ის პასი, რომელსაც დავითაშვილი მეკარესთან პირისპირ უნდა გაეყვანა, ვან ბურიკმა ჩაჭრა.

„ამერის“ კართან სახიფათო მომენტი ისევ კუთხურს მოჰყვა — შიმონიძემ შემობრუნებით დაარტყა და ქვაჩაბია ბურთს ადგილზე დახვდა...

ეს ის შანსია, რასაც „ამერი“ ელოდა! ჯარიმა საჯარიმოდან ხუთ მეტრში. დეკანოსიძე ეშვადება და სარტყმელად — ბურთი კედელს მოხვდა, ხოლო დოლიძის დამატებული კარს ოდნავ ასცდა.

„ამერის“ კიდევ ერთი პასუხი „ჰერტას“: მოედნის ცენტრში გათამაშებული ბურთი, ჯვლაძემ საჯარიმოს შვირბინა, გზად ფილბერტო ჩამოიშორა და დავითაშვილს გადააწოდა, რომელიც ვან ბურიკსა და დარდაის შუა ბურთიანად კი გავიდა, მაგრამ მეკარემ დაასწრო.

ამერელები შეცვლას ამზადებენ — მოედნის კედესთან დავით სევასტოპოლო გამოჩნდა და მან მარჯვენაფლანგელი გრიგოლ დოლიძე შეცვალა.

უკვე იგრძნობა, რომ „ამერი“ „ჰერტას“ ჯობნის... და აგერ, დეკანოსიძის პასი და დავითაშვილი ვან ბურიკთან პირისპირ, შემდეგ მეკა-

ბერლინი. 10 აგვისტო. 21 საათი. შრიდის ლუდის ინსტიტუტი. 10 000 (ტეფადობა 19 500)

პერტა 1:0 აპერი

10 ოკტობრე (90)

<p>ჰერტა: ფილბერტი, ფრიდრიხი, ვან ბურიკი, შიმონიძე, ფილბერტი, დარდაი (ედე 71), კაირო (ებერტი 76), ნონდორფი, ბაშთურქი, პანტელინი, ლაკიტი (ოკტობრე 58)</p> <p>სათადარიგო: სტურულეგაარდი, ჩაპედი, შმიდტი, ფატი</p> <p>მწვრთნელი: ფალკო გოლტი</p>	<p>ამერი: ქვაჩაბია, მჭედლიშვილი, დავითიძე, ზვადაგანი, ელბაქიძე, ჯვლაძე (ჩიკვილაძე 88), ბოლქვაძე, დოლიძე (სევასტოპოლო 67), დობროვოლსკი, დეკანოსიძე, დავითაშვილი (წინამძღვრიშვილი 80)</p> <p>სათადარიგო: ნადირაშვილი, გვაძაბია, გაბისკირა, ბერაინიძე</p> <p>მწვრთნელი: გიორგი ჩხიბარძე</p>
--	---

გაწარმის: მჭედლიშვილი (21), შიმონიძე (23), ბაშთურქი (39), ნონდორფი (45), პანტელინი (85)

მსაჯები: ხ. ცოგრაფოსი; ხ. გენოსი; გ. ბანუ; დ. კალოპულოსი (ვევლა საბერძნეთი)

რე... მასპინძელმა მცველმა ბურთს ფეხი წაჰკრა და კუთხური — ჩაწოდებული ბურთისთვის დავითიძეს ფილბერტმა აჯობა.

...გიოტცმა ერთ შეცვლას მეორე მიაყოლა, მოგვიანებით კიდევ ერთი თავდასხმელი ედე მიაშტა და ახლა მასპინძლები ერთბაშად სამი ფორვარდით უტევენ.

„ყვითლების“ სათადარიგოს სკამთან რატი წინამძღვრიშვილი ეშვადება. ფალკო გოლტი სკამიდან წამოხტა, როცა ჩვენებმა ბურთი კარგად გაათამაშეს და მეტოქის საჯარიმოსთან დაკარგეს, ხოლო ბერლინელებმა შეტევა დააწყეს...

„ჰერტა“ ბოლო შტურმისთვის ეშვადება, ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელი ფეხბურთელებს ამისკენ მოუწოდებს...

...წინამძღვრიშვილი უკვე მოედანზეა და ერთბაშად სამი მასპინძელი გააბრუა კედელს, თუმც მასაც ვან ბურიკი გადაადობა — რატის დარტყმული ბურთი მცველს მოხვდა და კუთხურზე გადავარდა. საპასუხოდ კი, „ამერს“ ბაშთურქმა ცაციათი საჯარიმოს ხაზიდან დაურტყა — ბურთი კარს ოდნავ ასცდა.

„ჰერტა“ უკვე სიმულაციაზე გადავიდა — პანტელინს პენალტი სურდა, მაგრამ ამის ნაცვლად არბიტრისგან გაფრთხილება დაიმსახურა...

„ამერი“ კიდევ უფრო თავდაჯერებით თამაშობს და მოედნის ცენტრში მასპინძლების გაბითურებაზე გადავიდა. ბოლქვაძე ძალიან სახიფათოდ ურტყამს, ბურთმა ძელს ჩაუქროლა. ჩვენების კარისკენ კი პანტელინმა დაარტყა — მიხანი

ვერც მან გაისწორა. ბოლო წუთი დაიწყო — ქართული გუნდი აქ, გერმანიაში, ბერლინის „ჰერტასთან“ ჩინებული შედეგით ამთავრებს მატჩს. მსაჯმა შეხვედრას 4 წუთი დაამატა.

ბოლქვაძე დაშვდა — ექიმები მოედანზე არიან. არბიტრმა ჩვენიანს მოედნიდან გასვლა სთხოვა და... ოკტობრე — 1:0. ბურთი „ამერის“ საჯარიმოს ბაშთურქმა ჩაჭიდა, მცველებს თავით ებერტმა აჯობა და ოკტობრეც რის ვაივალანით, მაგრამ გაიტანა...

ძალიან სამწუხაროა... სულ ბოლო წუთია, ბურთი ცენტრიდან „ამერმა“ გაათამაშა და მატჩიც დამთავრდა...

„ამერი“ ისე იქცევა, როგორც უნდა მოიქცეს, „ქართულ“ ტრიბუნასთან მიდის და მადლობის ნიშნად ქომაგობას ტაშს უკრავს, საპასუხო მადლობას კი „ყვითლები“ ქართველების გარდა, მთელი სტადიონისგან იღებენ...

ამერელებს ჩვენც ვუთხრათ მადლობა კარგი და ვაჟაკური თამაშისთვის. მათ ეს დაიმსახურეს, იბრძოლეს და მრისხანე მეტოქეს გოჯი არ დაუთმეს. ყველაფერი კარგი იყო, ანგარიშის გარდა. თუმცა ეს ანგარიში ის არაა, „ამერმა“ თბილისში ვერ აანაზღაურა.

დღევანდელმა თამაშმა ჩვენც და, დარწმუნებული ვარ, გერმანელებსაც დაანახა, რომ თბილისში უფრო მაგარი ამბები იქნება.

რაღა ვთქვათ, სულ ორიოდ სიტყვა — ფეხბურთს თამაშობს ორი გუნდი, რომელსაც გერმანელები იგებენ... სამწუხაროა, რომ ეს სიტყვები დღესაც ახლა...



- რუბინი (რუსეთი) 3:0 ბატი (ბელარუსი)
- მიხაილ აშვითიძე ორი გოლი გაიტანა
- ძარვანი (აზერბაიჯანი) 0:2 სლავინა (ჩეხეთი)
- ჩირნოვოროვი (უკრაინა) 0:0 პლოცკი (პოლონეთი)
- ტირანა (ალბანეთი) 0:2 ძანსპერსონი (თურქეთი)
- რუზაბეგოვი (ბელგია) 2:1 მინიკოვი (კვიპროსი)
- რიდი (ავსტრია) 0:0 სინი (შვეიცარია)
- ბანი ივაშვი (ისრაელი) 0:2 ლოკომოტივი (ბულგარეთი)
- არტემიძე (სლოვაკეთი) 2:1 დინამო (ბელარუსი)
- ცსკა (ბულგარეთი) 0:0 პანდუკი (სერბეთი)
- რანდერსი (დანია) 3:1 კაპუნანი (ლიტვა)
- მიოლდი (ნორვეგია) 0:0 სპინდო (ლატვია)
- ოდესა (დანია) 1:0 ლანალი (უელსი)
- ზიმბრუ (მოლდოვა) 0:0 მიტალურბი (ზაპოროჟიე, უკრაინა)
- პაპოლი (თელ ავივი, ისრაელი) 1:2 დომშალი (სლოვენია)
- სტარტი (ნორვეგია) 1:0 დროპი (ირლანდია)
- ბრანი (ნორვეგია) 3:3 ატმედაპარბი (შვედეთი)
- ტვიტი (პოლანდია) 1:1 ლევალი (ესტონეთი)
- ინაზ პონი (შვეიცარია) 3:3 მარსალი (საფრანგეთი)
- ვენესპილი (ლატვია) 0:1 ნიშპასლი (ინგლისი)
- ფლორ (ესტონეთი) 0:0 ბრონდო (დანია)
- ფიქსი (უნგრეთი) 1:1 ბრასპოპარი (შვეიცარია)
- სარაპო (ბოსნია) 1:0 რაპინი (რუმინეთი)
- სუდუვა (ლიტვა) 0:2 ბრიუპი (ბელგია)
- ბაზალი (შვეიცარია) 1:0 ვაშუცი (ლიხტენშტაინი)
- პარტიზანი (სერბეთი) 2:1 მარბორო (სლოვენია)
- ამოლი (კვიპროსი) 1:1 ტრანზონსონი (თურქეთი)
- დინამო (რუმინეთი) 1:0 პინტარი (ისრაელი)
- მამირსპორბი (ავსტრია) 1:1 შისლა (პოლონეთი)
- ბრეიტან (შოტლანდია) 1:5 დარი სინი (ირლანდია)

ამხანაგური მატჩები

ეგალი (საბერძნეთი) 1:2 ვალიორკა (ესპანეთი)
პაოკ (საბერძნეთი) 2:1 ძსანთი (საბერძნეთი)
პორტსმუთი (ინგლისი) 1:2 პორტუ (პორტუგალია)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 1:0 ანდერლახტი (ბელგია)
შელვა (ესპანეთი) 0:3 სპორტივნი (პორტუგალია)

ფინეთი

ვიიკასულიზა, XV ტური
ინტარი 0:0 ტურკუ

ოსტანდია

პრემიერლიგი, XIII ტური
ვიკინგური 5:0 ვისტაგანაიარი
პარანსი 1:1 ვალიური

დავით ყიფიანის თასი

პირველი ეტაპი. პირველი მატჩები

10 აგვისტო

ზასტაფონი 5:0 გურნი ლანჩუთი
ტორპედო ქუთაისი 2:0 მუხამტი ტყიბული
ჩიხურა საჩხერე 4:0 სამტრედიანი
გორჯოში 4:0 მირცხალი ოზურგეთი
დილა გორი 0:4 მუხამტი აგარა
სპარტაკი თბილისი 3:1 ზოოპარკი თბილისი
პახეთი თელავი 3:1 ამირანი თბილისი
ლოკომოტივი თბილისი 2:2 ნორჩი დინამო თბილისი
ბაზრა 2:1 მისხეთი ახალციხე
ოლიმპი რუსთავი 5:1 მადაროალი ქიათურა
მირანი თბილისი 2:0 ლინსვი თამარაშენი

11 აგვისტო

ბათუმი — მგლში ზუგდიდი

სარბიულელები ვულოცავთ
გიორგი დარჯანას და
თეა კიენაველიძეს
ანასტასიას
დაბადებას.

სასახელო ქალი გაზრდილიყოს!




სარბიელი პროექტდენობას მოდინასულა

მუშაზე დასრულებულია ფოტო

ახლოდება 2 სექტემბერი და ახლოდება სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასასრული ეროვნულ სტადიონზე — შემოდგომის მეორე დღეს საქართველოს ნაკრებმა სწორედ ამ სარბიელზე უნდა უმასპინძლოს საფრანგეთის ეროვნულ გუნდს ევრო 2008-ის შესარჩევში.

ჰოდა, გუშინ ეროვნული სტადიონი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა მოინახულა, მან გასაზღვრელი და საშუალებები დაათვალიერა და ურუნალისტებსაც გაგვესუბრა...

— რეკონსტრუირებულ სტადიონს საბოლოო სახე ვერ არ მიუღია, ყველაფერი ალბათ გეგმის მიხედვით მიდის. აქ ყოველი მოსვლისას რწმუნდება კაცი, რომ დიდი სამუშაოები ტარდება. ორი-სამი თვის წინ ძნელად დასაჯერებელი იყო, რომ ასე გამოკეთდებოდა სტადიონი, რომლისგანაც, ფაქტობრივად, ჩონჩხი იყო დარჩენილი. მოედნის საფარი ნორმალურ სახეს იღებს. ცუდია, რომ ბალახის სრულყოფას ცხელი დღეები დაემთხვა, მაგრამ ამას ვერ გავქვეცდით.



მუშაზე დასრულებულია ფოტოები

— იყო შემოთვება იმის თაობაზე, რომ ეროვნულ სტადიონზე ქანდაკი გამოყვანილი ბალახი იგებოდა...
— უბრალოდ, როცა ამხელა რეკონსტრუქცია კეთდება, ყველაფერი ხარისხიანი უნდა იყოს. ბალახის მწარმოებელმა ფირმამ შესაბამისი გარანტიები წარმოგვიდგინა. ყველაფერი რეალურად 2 სექტემ-

ბერს გამოჩნდება, ვიზუალურად კი ყველაფერი ნორმალურადაა...
— როდის დასრულდება სარეკონსტრუქციო სამუშაოები?
— ჩვენი ინფორმაციით, 25 აგვისტოს.
— მომავალ შესარჩევ ციკლში ეროვნული ნაკრები ყველა საშინაო მატჩს აქ ჩაატარებს?
— რა თქმა უნდა, ასე იქნება.



მუშაზე დასრულებულია ფოტოები



— სარბენი ბილიკი როდის დაიგება?
— სარბენი ბილიკის დაგება ორსამ დღეში დაიწყება და, ალბათ, 25 აგვისტოსთვის დასრულდება.
— განაზღვრულ ეროვნულ სტადიონზე ნებისმიერი რანგის მატჩის მასპინძლობას შევძლებთ?
— ეს მარტივი საკითხი არ არის. აქ უფასო თასის ფინალი რომ ჩა-

ტარდეს, ამისთვის შესაბამისი სტადიონის გარდა, სხვა ფაქტორებიცაა გასათვალისწინებელი — აეროპორტი, სასტუმროები. რაც შეეხება კონკრეტულად სტადიონს, ასეთი რანგის მატჩებისთვის კიდევ დამატებითი სამუშაოების ჩატარება გახდება საჭირო.

— რომელიმე ქართული გუნდი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე რომ გავიდეს, ამ სტადიონზე თამაშს შეძლებს?

— ჩემპიონთა ლიგის მატჩის გამართვა განაზღვრულ ეროვნულ სტადიონზე პრობლემა არ უნდა იყოს. თუმცა გასათვალისწინებელი იქნება ცალკეული კომპონენტები — ბევრი ურუნალისტის განთავსება, სტადიონის ტევეადობის რამდენი პროცენტია გადახურული... მოკლედ, არის დეტალები, რომელთა მიმართ მოთხოვნები ხშირად იცვლება. წინასწარი ინფორმაციით, განათება 1500 ლუქსი იქნება, რაც ნებისმიერ მოთხოვნას აკმაყოფილებს. ეროვნულ სტადიონს შიდა განათებაც ექნება.

დავით თაგართილაძე



მუშაზე დასრულებულია ფოტოები



ნუ გაუინია, ტოპი! მალხაზ ასათიანის სამსახური და 60-ათასიანი იმედი

— ჯერ „ლოკომოტივზე“ ვთქვათ. გუნდში ისევ პრობლემებია, მოგება ძალიან გიჭირთ...

— პრობლემები გვაქვს, მაგრამ ამას რომ შევეგუოთ, სისულელე იქნება. მთავარია, პანიკა არ იყოს, ახლა ყველაფერს უნდა ვეცადოთ სიტუაციის გამოსასწორებლად.

— როგორც გარედან ჩანს, ყველაზე მეტად შეტევაში გიჭირთ...

— ეს მარტო თავდასხმის ბრალი არ არის, მთლიანად გუნდი ვერ თამაშობს და გაუთვალისწინებელ ქულებს ვკარგავთ.

— და რატომ ხდება ასე?

— ჩემპიონატი კარგად დავიწყეთ, მაგრამ მერე შესვენებამ ყველაფერი აგვირია. რაღაც უცნაური პაუზა გამოგვივიდა, რომელმაც ტემპი დაგვაკარგვინა და დღემდე ვერ ავთამაშდით.

— სხვათა შორის, იგივე გვითხრა რამდენიმე დღის წინ რუბინელმა მიხეილ აშვეთიამ...

— უბრალოდ, ეს ფაქტია და ამასზე ბევრი ჩივის.

— იური სიომინმა მოსკოვის „დინამო“ დატოვა. „ლოკომოტივში“ დაბრუნებას ხომ არ აპირებს?

— ვერ ვეტყვი, ამგვარი არაფერი გამიგია.

— ბოლოს შინ პერმის „ამკარს“ რომ ეთამაშეთ, ტრიბუნაზე ბანერი გამოჩნდა შენი სურათით...

— „ლოკოს“ ფანებმა დაბადების დღე მომილოცეს.

— ამგვარი რამ სხვა დროსაც ხდება?

— ხან ხდება, ხან არა...

— ნაკრებზე გადავიდეთ: ფარელებთან მატჩისთვის ეროვნულ გუნდს ტრავმების გამო რამდენიმე ფეხბურთელი დააკლდება...

— ეს მეც გავიგე და ძალიან დამწყდა გული. კალაძე, ზიზანიშვილი, ზიზანიშვილი, არველაძე... ეს ფეხბურთელები ნაკრებისთვის

მალხაზ ასათიანი — რუსული პრემიერლიგის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი;

„სპორტ-ექსპრესის“ მიმდინარე შეფასებებით, რუსეთის საუკეთესო მცველი;

მოთამაშე, რომელსაც რუსები ქართველ ზიდანს ეძახიან და ლამის ყოველი მატჩის მიმოხილვისას წერენ, რომ დაცვაში საუცხოო მალხაზი

უკეთესი გამომამაშებელია, ვიდრე მცველი. 4 აგვისტოს მალხაზ ასათიანს

დაბადების დღე ჰქონდა — 25 წლის გახდა და მოსკოვის „ლოკომოტივის“

გულშემატკივრებმაც მოზრდილი ბანერი გამოფინეს ტრიბუნაზე — ისინი გუნდის

ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს დაბადების დღეს ულოცავდნენ.

და ერთი დეტალიც — ჩერკიზოვოს სტადიონზე ბანერის მაღლა

საქართველოს დროშა ფრიალებს...

„ლოკომოტივი“ და საქართველოს ნაკრები — მალხაზს გუშინ

მოსკოვში შევხვდით და ამ თემებზე ველაპარაკეთ...



შეუცვლელნი არიან. ცუდია, რომ მათ გარეშე მოგვიწევს თამაში, მაგრამ იმედი მაქვს, ფარეებიდან სამი ქულით დავბრუნდებით.

— ტრავმირებულთაგან სამი მცველია. კლაუს ტომპოლერმა დაცვაში თამაში რომ ვთხოვოს, რას ეტყვი?

— ვითამაშებ. მწვრთნელი როგორც იტყვის, ისე იქნება. ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. მით უმეტეს, უკვე რა ხანია, „ლოკომოტივში“ მცველად ვთამაშობ და ახალი და უჩვეულო ჩემთვის ამაში არაფერია.

— კი მაგრამ, „ლოკომოტივში“ დიდი ხანია, ამ ადგილზე თამაშობ და ყველასთან შეთამაშებული ხარ. ნაკრებში კი პირიქით...

— არა მგონია, გამიჭირდეს. თუმცა სჯობს, დაველოდოთ და ვნახოთ, რას გადაწყვეტს ტომპოლერი. მე მის ნებისმიერ დავალებას შევასრულებ.

— და მაინც, რას უნდა ველოდოთ 16 აგვისტოს?

— ეს არის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი. ეტაპის პირველი მატჩი და ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ დაიწყებთ საქმეს. კარგი იქნებოდა, სრული შემადგენლობა გვეყოლიდა, მაგრამ ამის მიუხედავად, აუცილებლად უნდა მოვივით. სხვა ნებისმიერი შედეგი წარუმატებლობა იქნება.

— შორს არც 2 სექტემბერია. განახლებული „ეროვნული“ და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტი საფრანგეთის ნაკრები...

— ეროვნული სტადიონი მაგ დღეს იხსნება? რამდენ მასურებელს დაიტევს?

— დაახლოებით 60 ათასს...

— მართლა? 60 ათასი ქომაგის თვალწინ ცუდად თამაშის უფლება არ გვაქვს, მეტოქე გინდაც საფრანგეთი იყოს...

ბასა ზალაგზირიძე

ალექსანდრე იაშვილი სამკლავური მოიხსნა

ახალ სეზონში „ფრაიბურგს“ ახალი კაპიტანი ეყოლება — კლუბის ხუთკაციანმა საბჭომ, რომელშიც თავად ალექსანდრე იაშვილიც შედის, კაპიტნის სამკლავური მის ნაცვლად სუმილა კულიბაღს გადასცა. ამის თაობაზე ცნობა კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრების ფორვარდი კაპიტნად შარშან მას შემდეგ აირჩიეს, რაც მან „ფრაიბურგში“ დარჩენა გადაწყვიტა.

ბასა ზალაგზირიძე



ალექსანდრე იაშვილი და სუმილა კულიბაღი

გუშინ ბათუმში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში სომეხ თანატოლებთან 0:1 წააგო. ეს გუნდები ამავე ქალაქში ორი დღის წინაც შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ ჩვენმა იუნიორებმა 1:0 იმარჯვეს.

გუშინ ჩვენებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: დგებუაძე (ოდიშარია), სარაჯიშვილი, თაღაკვაძე, სორდია, ძეგოშვილი, ნემსაძე (თარხნიშვილი), კალაძე (მამუჩიშვილი), ჯოხაძე (კვარაცხელია),

სომხეთთან ორჯერ ორი არ გამოვიდა

ზოკერაშვილი (ქანთარია), ბეგლარიშვილი, ფაილოძე (კიკნაძე). მატჩის შემდეგ გუნდებს შორის გაწვე-გამოწვევაც იყო, რაც მალევე ჩააცხრეს.

საქართველოს 17-წლამდელთა გერმანულ დამრიგებელ ჰერბერტ ცანკერს სომხებთან მატჩებისთვის

25 ფეხბურთელი ჰყავდა გამოძახებული, 17-23 აგვისტოს კი ლიტვაში პალანგის საერთაშორისო ტურნირი იმართება და საქართველოს ნაკრები იქ 18 ფეხბურთელით წავა.

ეს სია დღეს გაირკვეა.

ლუბა თალაგზაძე

ქუთაისის „ტორპედოს“ სტადიონზე შედგა მსაჯთა ტესტირება ფიზიკურ მომზადებაში. ტესტირებაში მონაწილეობდნენ იმერეთის და სამეგრელოს რეგიონის ფეხბურთის ფედერაციების მიერ წარდგენილი მოქმედი და დამწყები მსაჯები, რომლებიც რეგიონალური ლიგის მატჩებს ემსახურებიან. ნორმატივები მიღებულ იქნა სფფ-ის მსაჯთა და

დამკვირვებელთა განყოფილების წარმომადგენელთა თანდასწრებით.

რეგიონებმა წარადგინეს შვიდ-შვიდი მსაჯი, რომელთაგან ორმა, დ. მალრაძემ (იმერეთი) და ე. გოგინავამ (სამეგრელო), ვერ შეძლეს კუპერის ტესტის ჩაბარება.

სფფ-ის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილება

geo_geo_fan@hotmail.com

ახალი სანაკრებო სეზონი კარს მოგვადგა და თქვენი სანაკრებო რუბრიკაც კარს გიღებთ. ვფიქრობთ, ჩვენი აქამდელი ურთიერთობა ძალიან საინტერესო და ამავდროულად საქმიანი იყო. ამიტომაც მიზანშეწონილად ვთვლით, ურთიერთობა მომავალში გავაგრძელოთ — საქართველოს ნაკრები ხომ თქვენია, ჩვენია, ქომაგებისაა, ხალხისა და ჩვენც ფარეებით დავიწყეთ: რა შესვენება გინდათ, რომ 16 აგვისტოს ფარეები — საქართველოა. ჰოდა, საინტერესოა, რას ფიქრობთ ამ მატჩზე და ზოგადად ნაკრებში მიმდინარე ამბებზე. მოგვწერეთ...

წვრილად დაჭრილი იუპესბან ინტერს ზღატანი ეკბო



შვედმა თავდასხმელმა ზღატან იბრაჰიმოვიჩმა ოცნება აიხდინა — სერია B-ში გადებული „იუვენტუსიდან“ წავიდა. მისი ახალი გუნდი გახლავთ მილანის „ინტერი“, რომელმაც იბრაჰიმოვიჩის სანაცვლოდ 24,8 მილიონი ევრო ანუ 31,9 მილიონი დოლარი გადაუხადა ტურინელებს. 25 წლის შვედი იტალიაში, კერძოდ კი „იუვეში“ ორი წლის წინ მივიდა და კონტრაქტის თანახმად იქ 2010 წლის 30 ივნისამდე უნდა დარჩენილიყო. ზღატანის და „ნერაძურის“ კონტრაქტი სამწლიანია.

შეგახსენებთ, რომ პატრიკ ვიერიას იმავე „ინტერისთვის“ მიყიდვის შემდეგ „ბებერი ქალბატონი“ აცხადებდა, რომ მეტ ფეხბურთელს აღარ გაყიდდა, მაგრამ იბრაჰიმოვიჩმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. მას კატეგორიულად არ სურდა ეთამაშა ქვედა დივიზიონში და თან სეზონი მინუს 17 ქულით დაეწყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ფეხის პატარა დაცდენის შემთხვევაში სერია A-ში ერთ სეზონში შეიძლება ვერც დაბრუნებულიყო. შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსს“ ეს სასჯელი არ აკმარეს და ბოლო ორი ტიტულიც ჩამოართვეს.

ასე და ამგვარად იბრაჰიმოვიჩი გახლავთ „ინტერის“ მეოთხე დიდი შენაძენი ზემოხსენებული ვიერიას, ექსპალერმოელი ფაბიო გროსოს და „ჩელსიდან“ დაბრუნებული ერნან კრეზოს შემდეგ.

იბრაჰიმოვიჩმა სერია A-ში გატარებულ ორ სეზონში 26 გოლი გაიტანა.

აპაუნა კედი

ხოსეს ფასი

წუხელ „არსენალმა“ მადრიდის „რეალს“ უთხრა: თუ ხოსე რეიესი გინდათ, 16,5 მილიონი გირვანქა გადაიხადეთ და წაიყვანეთო.

ეს ის თანხაა, რომელიც „არსენალმა“ ამ ესპანელში გადაიხადა 2004 წლის იანვარში. „რეალის“ დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი ახლა ლონდონშია და 10 მილიონს სთავაზობს მეთოფეებს.

რეიესს ძალიან უნდა მადრიდში გადასვლა და მიატოვიჩი იმელოვნებს, რომ ეს გადამწყვეტი იქნე-

ბა. თანაც „არსენალის“ ვიცე-პრეზიდენტ დევიდ დინთან შეხვედრისას მიატოვიჩმა 10 მილიონს უფლო ბაპტისტაც დაუმატა.

არსენ ვენგერს შარშანაც უნდოდა უფლო ბაპტისტას ყიდვა „სევილიისგან“ მაგრამ „რეალმა“ ცხვირწინ აართვა.

თუმცა, ბრაზილიელისთვის შრომის უფლების მოპოვება საკმაოდ ძნელი იქნება: ის არც ევროკავშირელია და არც სანაკრებო პროცენტს აკმაყოფილებს.

ირაკლი ბაგჩრელიძე



გალასი სამეაგს იტსოგს

უილიამ გალასმა კვირაში 90 ათასი გირვანქა მოსთხოვა „ჩელსის“.

კლუბმა მას 75 ათასი შესთავაზა, რაც ხელფასის გაორმაგებასაც და მეტსაც ნიშნავს, რადგან გალასი ახლა კვირაში 35 ათასს იღებს.

ფეხბურთელი კი იმდენს ითხოვს,

რამდენსაც ფრენკ ლამპარდი და ჯონ ტერი იღებენ.

ამბობენ, რომ „ჩელსი“ 90-ს არ გადაიხდის, გალასს ძველი ხელფასით სათადარიგოთა სკამზე დასვამს და წლისთავზე, როგორც თავისუფალ აგენტს გზას დაულოცავს. საერთოდ, გალასი კლუბს ვერ ეგუება, ამერიკული ტურნეც

გააცდინა მსოფლიო თასის შემდეგ დასვენების საბაბით და ჟოზე მარინოვიჩის ინიციატივით, მისი №13 მაისურა რომ მიხნაღო ბალაქს გადასცეს.

კვირას, „ქომუნითი შილდის“ თამაშზე „ლივერპულის“ წინააღმდეგ, ბალაქი სწორედ ამ ნომრით გამოვა.

ირაკლი ბაგჩრელიძე

თიოს ბარეუე

კი გამოცდილება უნდა მიიღოს“.

თავის პირველ შემადგენლობას მაკლარენი დღეს დაასახელებს. ფანთა გამოკითხვით კი მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ ბაიერნელი ოუენ ჰარგრევისი დასახელდა.

კასანო: კატასტროფიდან ჰარეონიაგდე



ანტონიო კასანოსთან ინტერვიუ მადრიდის „რეალის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა. იტალიელი თვლის, რომ შესანიშნავ ფორმაშია და ფაბიო კაპელოსთან ერთად წარმატებების მიღწევისაც სჯერა კასანო თავის ძველ მწვრთნელთან თანამშრომლობის გაწვევას არ აპირებს და ნდობის საბასუხოდ დონ ფაბიოს კარგ თამაშს ჰპირდება

— ძალიან შეიცვალეთ ამ ბოლო დროს, უფრო ბედნიერად გამოიყურებით...

— დიახ, ასეა, რადგანაც „რეალში“ უკვე არის კაცი, რომელსაც ჩემი შესაძლებლობების ბოლომდე სჯერა და ეს კაცი ფაბიო კაპელოა. ამით იმის თქმა არ მინდოდა, რომ წლეულს ძირითად შემადგენლობაში ვიქნები. უბრალოდ, თავს კარგად ვგრძნობ, რადგან მწვრთნელმა გამიგო. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის.

— ამბობენ, რომ მშვიდი და კმაყოფილი კასანო კარგი ფეხბურთის და გოლების საწინდარია...

— მართალი უთქვამთ. როცა ბედნიერი ვარ, საუკეთესოდ ვთამაშობ. თუ რაიმე მაწუხებს, შეიძლება ჩემი გუნდისთვის კატასტროფადც ვიქცევი... იმედია, მომავალ სეზონში შეწუხებულს ვეღარ მიხილავთ, ამას კაპელო არ დაუშვებს.

— რაულთან, რონალდოსთან და ვან ნისტერლისთან კონკურენცია არ გაფიქრებთ?

— არა, მთავარი საერთო გამარ-

ჯევაა. ძირითადად ვინ ითამაშებს, მეორეხარისხოვანია. მწვრთნელმა უნდა გადაწყვიტოს რონალდოს ათამაშებს, რობინიოს, ვან ნისტერლის, რაულსა თუ კასანოს.

— თქვენს სასარგებლოდ ის მოქმედებს, რომ კაპელოს მუშაობის სტილს სხვა რეაქციებზე უკეთ იცნობთ...

— ეს ფავორიტად ვერ გამხდის. კაპელო მხოლოდ იმას შეუშვებს მოედანზე, ვინც კონკრეტულ შემთხვევაში იქნება საჭირო.

— კასანო რას შესთავაზებს კაპელოს?

— ბრძოლისთვის სრულ მზადყოფნას, ხოლო თავდასხმის ფლანგზე ვითამაშებ თუ ცენტრში, ეს უკვე მეორეხარისხოვანია.

— სეზონთაშორისისას გამოჩნდა, რომ ადრინდელ კასანოსთან საერთო არაფერი გაქვთ...

— იანვარში „რეალში“ რომ მოვედი, ფიზიკურად ძლიერად ვერ ვიყავი. თანაც ესპანური ფეხბურთი იტალიურისგან განსხვავდება და შეგუება გამიჭირდა. სირთულეებს წავაწყდი, თუმცა დღეს „რეალთან“

და ესპანეთთან სრულ ჰარმონიაში ვარ.

— ადრე ბევრს გაკრიტიკებდნენ. ყველაზე მეტად რა გწყინდათ?

— კრიტიკას ყურადღებას არ ვაქცევდი. პრესა ხომ ძალიან ჭირვეულია — როცა გოლები გაგაქვს, ქებით ცამდე ავიყვანს, ხოლო თუნდაც ერთი თამაში რომ ჩააგდო, დაუნდობლად გამოგლანძღავენ. თან ხშირად არასაფეხბურთო რამეების გამო მაკრიტიკებდნენ. მოთმინებით ვიციდიდი, რადგან მჯეროდა, რომ ეს დაუსრულებლად არ გაგრძელდებოდა. ახლა შესანიშნავ ფორმაში ვარ და „რეალთან“ ერთად ვიღლიების მოგება მინდა.

— „სანტაგო ბერნაბეუს“ ინჩასთა გულის მოგებას რანაირად აპირებთ?

— რასაკვირველია, კარგი თამაშით. „ბერნაბეუ“ შენგან მსხვერპლს ითხოვს და თუ გულშემატკივრები ხედავენ, რომ მოედანზე ასი პროცენტით იზარჯები, პატივისცემით მოგექცევიან.

მაგრალიშვილი ენფილდზე

პირობა დაბადების დღეზე წითელი პარსკოლაში დაჭრა



ჰაიმ მაგრალიშვილის (№18) „მაკაბიმ“ ბელაშის და ჭერარდის „ლივერპულს“ ტოლი არ დაუღო

წილიაო ინგლისში თავის 33-ე დაბადების დღეზე „ცრვენა ზევე-დასთან“ მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა, სიხარულისგან ჩვეულებისამებრ ივიყმაჟა და „მილანს“ მოაგებინა.

მოგეხსენებათ, კალჩოპოლის სკანდალის გამო „შაე-წითლებს“ ამ მატჩისთვის მოსამზადებლად მხოლოდ ორი კვირა ჰქონდათ, რადგან მანამდე უბრალოდ არ იცოდნენ დართავდნენ თუ არა ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის ნებას. მერედა, მწვრთნელ კარლო ანჩელოტის ბელგრადელებთან სათამაშოდ არ ჰყავდა პაოლო მალდინი, კახა კალაძე და ალესანდრო ნესტა, ხოლო ახალწვეული დანიელე ბონერა დისკვალიფიცირებული გახლდათ. გამოსავალი მწვრთნელმა ასეთი ნახა: დაცვის ცენტრი 40 წლის ალესანდრო კოსტაკურტას ანდო — და სწორედ კოსტაკურტას შეცდომის გამო შეიქმნა შეხვედრის პირველი სახიფათო მომენტი 90-ე წამზე — ხოლო რაც შეეხება შემტევ სამკუთხედს, აქ, ზემოხსენებულ ინმა-

გის და ალბერტო ჯილარდინოს კაკა ეხმარებოდა. ამრიგად, ჭორები კაკას მადრიდის „რეალში“ გადასვლის თაობაზე გადაჭარბებული გამოდგა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბრაზილიელი შეხვედრის მე-19 წუთამდე მოედანს არ დატყობია, ხოლო შემდეგ ანჩელოტიმ მარცხენა ფრთაზე გადასტყორცნა და სურათიც შეიცვალა.

ზემოთ, რომ სახიფათო მომენტი ვახსენეთ, მეკარე დიდამ განმუხტა — გეორგივე ბლაგოის არ გაატანინა, რამდენიმე წუთის შემდეგ კი მილანელმა კლარენს ზეედორფმა გაუშვა ხელიდან ორი სახირო მომენტი, რომელთაგან ერთი ანდრეა პირლომ შეუქმნა, ხოლო მეორე — კაფუმი. ამის შემდეგ ჯილარდინოსაც შეეძლო კაფუს პასს მიწვდოდა და ანგარიში გაეხსნა, მაგრამ ვერც მან მოახერხა.

ანგარიში კი, როგორც მოგახსენეთ ოუბილარმა გახსნა, რაც 22-ე წუთზე შეძლო — თითო შეხებიანი კომბინაცია ჯილარდინომ და კაკამ წამოიწყეს, „სუპერპაიოში“ კი ევროთასებზე თავისი 53-ე ზეიმი გვანახა.

სხვათა შორის, 30-ე წუთზე ინმაგამ კინაღამ მეორე გოლიც გაიტანა, „ცრვენა ზევედა“ კი საპასუხოდ ცალკეულ ეპიზოდებს ქმნიდა — მაგალითად, ნიკოლა ჟიგინიმა თავით გადააცილა ბურთი ხარინას.

მომენტების ჩამოთვლა კვლავაც მრავალად შეიძლება, მითუფრო რომ მეორე და პირველ ტაიმებს შორის დიდი განსხვავება არ ყოფილა — კაფუმ კვლავ შეუქმნა თანაგუნდელებს მომენტები, ჯილარდინომ კი მოახერხა და დიდებული შესაძლებლობის მიუხედავად, ისევ ვერ გაიტანა ჩემპიონთა ლიგაში თავისი პირველი გოლი...

„ჩემმა ფეხბურთელებმა თამაშში მთელი გული ჩადეს, 60 წუთი მაღალ ტემპში ითამაშეს და დაამტკიცეს, რომ ფიზიკურ მომზადებაზე ტყუილად არ ვამახვილებდით ყურადღებას. ამჟამად შეგვეძლო მეტი გოლის გატანა, მაგრამ იმ ვითარებაში, რომელშიც დღეს ვიმყოფებით, რაც მოხდა ისიც ჩინებული იყო. ვიმედოვნებთ, რომ საპასუხო თამაშს კიდევ უფრო დი-

დი რიხით და შემართებით ჩავატარებთ“ — თქვა ანჩელოტიმ.

და აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ფრანგი იოან გურკუფის დებიუტი „შაე-წითელთა“ შემადგენლობაში. ამ ყმაწვილს, რომელიც მოედანზე პირლოს ნაცვლად შევიდა, ახალ ზიდანს ეძახიან...

„ლივერპულმა“ კი ამასობაში მარკ გონსალესის მიერ ბოლოს გატანილი გოლის წყალობით 2:1 მოუგო ჰაიფას „მაკაბის“, სადაც ჰაიმ მაგრალიშვილი თამაშობს. გეთანხმებით, წესით „ლივერპული“ „მაკაბის“ უფრო იოლად უნდა ამარცხებდეს, მითუფრო, რომ ისრაელი ახლა დიდ ომშია ჩაბმული და თითქოს არ უნდა ეფეხბურთებოდეს, მაგრამ მედავს მეორე მხარეც აქვს — ისრაელი ომში რომ არის ჩაბმული იმიტომაც იბრძვის ყველა ფრონტზე ქვეყანა, რომელიც ომობს, არ შეიძლება თუნდაც ფეხბურთში გამოიყურებოდეს სუსტად. სისუსტე დაუშვებელია, მითუფრო ომის დროს და ამიტომაც, ბრავო „მაკაბი“!

ანგარიში ჰაიფელებმა გახსნეს, გუსტავო ბოკოლიმ ინგლისელთა

დაცვაში შეინავარდა და დაბალი დარტყმით გაიტანა გოლი, მაგრამ ოთხ წუთში კრეიგ ბელამიმ დაამატა მოჰამედ სისოკოს დარტყმულს და ცნობილი მეკარის, ნირ დავიდოვიჩის მოგერიებულს, ხოლო 89-ე წუთზე ზემოხსენებულმა და შეცვლაზე შესულმა გონსალესმა „ლივერპულს“ მოაგებინა. საინტერესოა, რომ შეხვედრა ცოტა დაგვიანებით დაიწყო, რადგან ლივერპულელმა ქომაგებმა „ენფილდზე“ დროულად და მწყობრად შესვლა ვერ მოახერხეს. ზაფხულზე გადავივიწყო, თუ რა იყო...

„ხალცბურგის“ ჩემბა ნახევარმცველმა კარელ პიტაკმა კი „კალენსისა“ წინააღმდეგ ჩინებული თამაში 73-ე წუთზე გოლით დაავიკრვინა და ახლა, ჩემპიონთა ლიგაში ბოლო ათწლეულის ორგზის ფინალისტს შინ 0:1 აქვს გამოსასწორებელი. საინტერესო ის არის, რომ ამ შეხვედრაში „ხალცბურგელთა“ თავაკცმა, უცნობილესმა ჯოვანი ტრაპატონიმ თერთმეტ კაცში ერთი ავსტრიელიც არ ათამაშა...

გააჟანა გილიძე



კარგი გააღე, ბალო!

იტალიის ნაკრების ნახევარმცველ მურო კამორანეზის სანქციათა გამო სერია B-ში ჩაძირულ „იუვენტუსში“ თამაში აღარ უნდა და ფრანგულ „ლიონში“ გადასვლა სურს. ამის შესახებ მედიას, კამორანეზის აგენტმა განუცხადა.

„მურო თითქმის 30 წლისაა და სხვათა შეცდომების გამო სერია B-ში ჩაჩეხვას არ იმსახურებს“ — უთხრა ჟურნალისტებს ფეხბურთელს წარმომადგენელმა სერჯიო ფორტუნატომ.

სენიორ ფორტუნატოსვე განცხადებით, „ლიონი“ მზადაა, 2006 წლის

მსოფლიოს ჩემპიონის ხელში ჩასაგდებად 5 მილიონი ევრო გადაიხადოს.

„ფრანგებთან მოლაპარაკება უკვე გვექონდა, შეთანხმებასაც მივადწინეთ, მაგრამ „იუვენტუსი“ ვაჯიუტდა და იძულებული გავხდით, სატრანსფერო გარიგებაზე დროებით ხელი აგვედო. ტურინელთა თავაკცობამ კლუბიდან ფაბიო კაპელო და 5 წამყვანი ფეხბურთელი გაუშვა, დანარჩენებს კი უეცრად კარი ჩაუკეტა. რატომ?“ — იკითხა კამორანეზის აგენტმა.

„ლიონი“ კი იტალიური სატრანსფერო ბაზრის გარდა შინაურ ფრანგულ სივრცეშიც ეძებს საჭირო ფეხბურთელს — „მარსელს“ ფრანკ რიბერის სანაცვლოდ 22 მილიონ ევროს სთავაზობს.

„იუვენტუსი“ სერია B-ში დაქვეითების შემდეგ მწვრთნელმა კაპელომ, ფაბიო კანავარომ და ემერსონმა („რეალი“), ლილიან ტურამმა და ძამბროტა („ბარსელონა“) ავერთვე პატრიკ ვიერამ („ინტერი“) დატოვეს.

ლადო ხომერიკი

ადრიანსა იყო, ბარუში არის

კო ადრიანსი, მოგეხსენებათ, ის პოლანდიელი მწვრთნელია, რომელიც „პორტუს“ ედგა სათავეში... დიახ, სწორედ, ედგა, რადგან პორტუგალიურმა კლუბმა განაცხადა, რომ ადრიანსე თანამდებობიდან გადადგა. როგორც პოლანდიური საინფორმაციო სააგენტო ANP იუწყება, ადრიანსეს „პორტუს“ დირექტორატთან „ნდობის პრობლემა“ გაუჩნდა. კლუბის ვებგვერდზე წერია: „ადრიანსე „პორტუს“ ოფიციალურად ოთხშაბათს დაცილდა. პირადად გამოემშვიდობა ფეხბურთელებს და ინგლისში დაეგვიძლო სეზონისწინა ტურნეზე არ წავიდა“.

აღსანიშნავია, რომ „პორტუს“ ადრიანსეს თანამდებობიდან გადადგომის მიზეზებზე არაფერს ამბობს. არაფერია ნათქვამი მის შესახებ შემცველზეც ახალი თავაკცის გამოჩენამდე კი გუნდს ყოფილი ფეხბურთელი რუი ბარუში უხელმძღვანელებს.

გააჟანა გილიძე



ბალაქი ვოლფსბურგში გადავიდა და მას ჯონათან სანტანა ჰქვია

ბაიერნი

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

მიუნხენის „ბაიერნი“ იწყებს ცხოვრებას მიხაელ ბალაქის გარეშე, რომელიც ფელიქს მაგათის გუნდში მთავარი ფეხბურთელი იყო. როგორი იქნება უბალაქო „ბაიერნი“? სეზონის წინა მატჩებით თუ ვიმსჯელებთ, ჯერჯერობით უჭირს. მაგალითად, გერმანიის ლიგის თასის ნახევარფინალში, „შალკესთან“ უგოლო მატჩში, პენალტებით მოიგო, ფინალში კი „ვერდერთან“ 0:2 წააგო. ამის შემდეგ, ჯოვანი ელბერის გამოსათხოვარ შეხვედრაში „მიუნხენ 1860“-თან, 0:3 დამარცხდა. ფელიქს მაგათი გუნდის უნიათო თამაშს მსოფლიოს ჩემპიონატს და ფეხბურთელების გადაღლას აბრალებს. ბალაქის გარდა წაყვია მარცხენაფლანგელი ხე რობერტო, ხოლო მივიდნენ ლუკაშ პოდოლსკი „კოლნიდან“ და ბელგიელი მცველი დანიელ ვან ბუიტენი „ჰამბურგიდან“. „ბაიერნი“, ცხადია, მაინც ფავორიტია, მაგრამ ამჯერად, ალბათ, ძალიან გაუჭირდება პირველობისთვის ბრძოლა.

პირველი

მწვრთნელი: თომას შააფი

ზემოთ უკვე ვახსენეთ „ვერდერისგან“ „ბაიერნის“ ძლიერის ამბავი და სწორედ ბრემენელი „მუსიკოსების“ გუნდი იქნება მიუნხენელთა კონკურენტი საჩემპიონო ბრძოლაში. მიუხედავად იმისა, რომ გამთამაშებელი იოან მიკუ „ბორდოში“ გადავიდა, „ვერდერი“ მაინც ყოჩაღად გამოიყურება. ბრემენელებმა შეიძინეს მცველი პერ მერტესაკერი „ჰანოვერიდან“ და „მაინციდან“ დაიბრუნეს განათხოვრებული ფორვარდი მოჰამედ ზიდან.

ჰამბურგი

მწვრთნელი: თომას დროტი

„ჰამბურგი“ ერთადერთია, რომელმაც წინა სეზონში ორჯერ შეძლო „ბაიერნის“ დამარცხება, მაგრამ როგორც კი საქმე პირველ ადგილზე გადასვლასთან მიდიოდა, ამუხრუჭებდა. ბოლო ტურში კი გადამწყვეტი მატჩი წააგო „ვერდერთან“ და მესამე ადგილს დასჯერდა. ვან ბუიტენი გაუშვეს „ბაიერნი“ და მის ნაცვლად „ანდერლენტიდან“ არანაკლებ ძლიერი მცველი ვენსან კომპანი შეიძინეს, „ბაიერნიდან“ დაიმატეს პაულო გერერო, რომელიც სერგი ბარბარესს შეცვლის. გარდა ამისა, შეტევა გააძლიერეს ბუბაქარ სანოგოთი, რომელიც „კაიზერსლაუტერნიდან“ გადაიბრუნეს. „ჰამბურგი“ კვლავაც გაერევა ჩემპიონობისთვის მებრძოლთა მარაგაში.

ვალენსია

მწვრთნელი: მირკო სლომაჩა

დიდი ამბიციით დაიწყო წინა სეზონი, მაგრამ სიტყვების რახარუხი გამოუვლიდა. მეორე წრის დასაწყისში რაღაც რანგნიკი მოხსნეს და მისი ადგილი მირკო სლომაჩამ დაიკავა, რომელმაც გამოაცხადა გუნდი, მაგრამ საჩემპიონოთაღიგო ადგილს მაინც ვერ შესწვდნენ, კლუბიდან წაყვია სივარისმოყვარული სპორტული დირექტორი, ცნობილი კაცი რუდი ასაუერი. ტრანსფერებში ფული არ გაუფანტავთ. დანიელი ფორვარდი პეტერ ლოვენკრანდსი და თურქი მეოლე ჰალილ ალტინტოპი შეიძინეს. ებე სანდმა კარიერა დაასრულა.



ჯონათან სანტანა

„ბაიერნი“ — „დორტმუნდის“ მატჩით დღეს ბუნდესლიგა იწყება. „ალიანს არენაზე“ შეკრებილი ბავარიელი ქომაგები ველარ ნახავენ მოედანზე იმ კაცს, რომელსაც მთელი გაზაფხულის მანძილზე უსტვენდნენ. ის კაცი მიხაელ ბალაქია და ლონდონის „ჩელსიში“ გადავიდა. რა არის ახალი და საინტერესო ბუნდესლიგაში? საინტერესო ბევრი არაფერი, ახალი კი „ალემანიაა“, რომელიც 36 წლიანი განშორების მერე ელიტას დაუბრუნდა.

დორტმუნდი

მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი

ბოლო ორ სეზონში დორტმუნდელები მეშვიდე ადგილზე გავიდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჰოლანდიელ მწვრთნელ ვან მარვიიკს კონტრაქტი ორი წლით გაუხანგრძლივეს. „შაყვითლებს“ ფინანსური პრობლემები ჰქონდათ და ნაწილობრივ ესაც მოაგვარეს. აყლაყუდა ჩეხი იან კოლერი, „მონაკოში“ გადავიდა, ხოლო ტომას როსიკი ლონდონის „არსენალმა“ შეიძინა. დორტმუნდელებმა გადაიბრუნეს ფორვარდები — პარაგვაელი ნელსონ ვალდესი „ვერდერიდან“ და ალექსანდრ ფრეი „რეინდან“.

ნიურნბერგი

მწვრთნელი: ჰანს მაიერი

„ნიურნბერგი“ წინა სეზონში მერვე ადგილს შესწვდა, საუკეთესო შედეგი კი კლუბის ისტორიაში მეშვიდე საფეხურია (1991-92). გუნდი სამი წლის წინ აღზევდა ბუნდესლიგაში და მისი მიზანი კვლავაც უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნება იქნება. აქვე ისიც ვთქვათ, რომ „ნიურნბერგმა“ ბოლო შეიდი საშინაო შეხვედრა მოიგო. გუნდის მთავარმეოლე მარკ მინტალს ექვსი თვე ტრავმის გამო გაუცდა. მან 2004-2005 წლების სეზონში 24 გოლი გაიტანა და ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მინტალი ახლა გამოკეთდა და მეიერს მისი ეიმედება.

შტუტგარტი

მწვრთნელი: არმინ ფეე

„შტუტგარტს“ ძალიან უსახური თავდასხმა ჰყავდა. მეცხრე საფეხურზე კი გავიდა, მაგრამ 34 მატჩში 37 გოლი გაიტანა და ამ მაჩვენებლით 18 გუნდში მე-14 ადგილი დაიკავა. ფეემ შუა სეზონში ჯოვანი ტრაპატონი შეცვალა, რომელზეც სეზონის დასაწყისში დიდ

იმედს ამყარებდნენ, მაგრამ იტალიელმა კლუბის პატრონის დავალება ვერ შეასრულა. „შტუტგარტმა“ შეიძინა გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელი რობერტო ჰიბერტი, მექსიკელი მცველი რიკარდო ოსორიო და ნახევარმცველი ანტონიო და სილვა „მაინციდან“.

მიუნხენვალდბახი

მწვრთნელი: იუჰ ჰაინკესი

ჰაინკესი დაბრუნდა გუნდში, სადაც ფეხბურთელობისას თამაშობდა, შემდეგ კი სამწვრთნელო კარიერა დაიწყო. გლადბახელებმა შეეცადილი დავიდ დეგენი და დანიელი ნახევარმცველი სებასტიან სვარტი გადაიბრუნეს. „შალკედან“ ითხოვეს მიხაელ დელურა. გუნდში არიან ოლივერ ნოივილი და ამერიკელი მეკარე კეისი კელერი, რომელიც უკაპიტნებს გლადბახელებს.

მაინცი

მწვრთნელი: იურგენ კლოპი

უკვე მესამე სეზონია, „მაინცი“ ბუნდესლიგაში ადგილს ინარჩუნებს. კლუბმა ამ ხნის განმავლობაში ბიუჯეტზე გვარიანად შეივსო და ქისაში 27 მილიონი ევრო უჩხრიალებს. კლოპს ამაგი დაუფასეს და კონტრაქტი 2008 წლამდე გაუგრძელეს. მაინციელებმა მიხაელ ტურკი „აინტრახტს“ მიჰყიდეს, ხოლო ნათხოვარი მოჰამედ ზიდან და ბეჰამინ აუერი, შესაბამისად, „ვერდერს“ და „ბოხუმს“ დაუბრუნეს. მათი შემცვლელი არიან მარკუს ფიულენერი, მიმუნ აზაუაგი და დუ-რი ჩა.

ჰანოვერი

მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი

